

## ნოდარ შენგელია

### საუბრა დოკუმენტის „მუჰიმე დავთრებიდან“ სიმონ ქართლის მეფის შესახებ

ქვემოთ ვაქვეყნებთ ხუთ დოკუმენტს სიმონ ქართლის მეფის შესახებ. დოკუმენტები უდავოდ ძალიან მნიშვნელოვანი წყაროა XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის სიმონ მეფის მრავალმხრივი საქმიანობის თაობაზე. დოკუმენტებში აშკარად ჩანს თუ როგორ თავდადებით იბრძოდა იგი ოსმალთა მოძალების წინააღმდეგ. ამ ე.წ. „მუჰიმე დავთრებში“ რამდენიმე ასეული დოკუმენტია შემონახული. სიმონ ქართლის მეფე დიდ საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა ხელისუფალთ. მათ დიდხანს ვერ მოახერხეს მისი იზოლაცია. მხოლოდ მრავალწლიანი ბრძოლების შემდეგ შეძლეს სიმონ მეფის ტყვედ ხელში ჩაგდება.

დღეს ძალიან ბევრი მასალა, რომელიც თურქეთის მინისტრთა საბჭოს არქივში ინახება, სრულიად უცნობია ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ყველა ის დოკუმენტი, რომლებშიც საუბარია სიმონ მეფეზე მთლიანად გადავიღე და ჩამოვიტანე საქართველოში. საჭიროა მხოლოდ მისი დამუშავება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ეს კი ძალიან შრომატევადი სამუშაოა. იგი მოითხოვს დიდ შრომას, ენერჯიას და, რა თქმა უნდა, დიდ ცოდნასაც. ამჯერად მხოლოდ ამ ხუთი დოკუმენტის პუბლიკაციით ვკმაყოფილდებით. მომავალში შევეცდები „მუჰიმე დავთრებში“ წარმოდგენილი ყველა მასალა შევისწავლო და გამოვაქვეყნო.

„მუჰიმე დავთრები“ /მნიშვნელოვანი დავთრები/ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა საკუთრივ ოსმალეთის ისტორიისათვის. მასში წარმოდგენილია ყოველდღიური რეალური ისტორია XVI საუკუნის შუა წლებიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე. იგი შედგება სულ 265 ტომისა და დამატების სახით 17 ტომისაგან. ეს წყარო იმითაა საინტერესო, რომ თითოეულ ტომში წარმოდგენილია 1200-1500-მდე დოკუმენტი, ყოველი დოკუმენტი შედგენილია ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარე. ვთქვათ, ერთ დღეს მოვიდა ინფორმაცია რომელიმე ქვეყნის ელჩის ჩამოსვლის თაობაზე ან რომელიმე ბრძოლასთან დაკავშირებით, ამ დავთრის მსახურნი ვალდებულნი იყვნენ შეედგინათ ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე ყოველ მოვლენაზე. მაშინვე დგებოდა დოკუმენტი და სასწრაფოდ შეჰქონდათ „მუჰიმე დავთრებში“. ქვეყნად არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი ინფორმაცია რეგისტრაციის გარეშე. ასე, რომ „მუჰიმე დავთრები“ ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ქვეყნის მრავალმხრივი ისტორიის გასაშუქებლად. დოკუმენტში შესულია ისეთი ამბები, რომლებიც შეიცავს ერთი დღის ისტორიას. ასე რომ, ერთი დღის განმავლობაში შეიძლება რამდენიმე ათეული ინფორმაცია შესულიყო ამ დავთრებში, ყოველგვარი მცირე და უმნიშვნელო ღირებულების ცნობაც კი.

სტამბოლის მინისტრთა საბჭოს არქივში ძალიან კარგად ესმით, თუ რა დიდი მნიშვნელობის ნყაროა ეს „მუჰიმე დავთრები“. უკვე რამდენიმე წელია არქივის ხელმძღვანელობამ დაიწყო ამ დავთრების გამოცემა. დაახლოებით ათამდე ტომი თავისი დედნებითა და ლათინიზებული ტრანსკრიფციით უკვე გამოცემულია, ყოველწლიურად მიმდინარეობს მუშაობა მათ პუბლიკაციაზე. ამ გამოქვეყნებულ ტომებშიც ბევრია ცნობები საქართველოს შესახებ. ჩვენთვის ისიც საკმარისია ამ გამოცემულ ტომებში მოთავსებული საქართველოს შესახებ არსებული ცნობების გადმოქართულება თუ მოხერხდა, რაც უდავოდ დიდი საქმეა. ამბების თხრობა იწყება დაახლოებით XVI საუკუნის შუა წლებიდან, არ არის გამოტოვებული არც ერთი უმნიშვნელო მომენტი ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი დოკუმენტებიც რეალურ ვითარებას გადმოგვცემენ. პირველი დოკუმენტი დათარიღებულია 1592 წლის 15 ივლისით. დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ სიმონთან კავშირი გააბა ვინმე მარცხენა ბოლუქის ქათიბმა ველიმ, თუ ეს მართალია, სასწრაფოდ აუწყონ დედაქალაქს. თუ გაქცეულები არ არიან, ხალხს მოსთხოვონ ახსნა-განმარტება თუ რას მოიმოქმედებენ. ჯერ ჩუმად იყონ, არავის არაფერი აუწყონ. დოკუმენტი მოთავსებულია მეხუთე ტომის 73-ე გვერდზე.

შემდეგი დოკუმენტი დათარიღებულია 1591 წლის 10 აგვისტოთი. რამდენიმე დოკუმენტს შეიძლება ჰქონდეს ერთი თარიღი. ასეა ამ შემთხვევაშიაც. აქ წარმოდგენილი ორი დოკუმენტი სიმონ ქართლის მეფის საქმიანობას შეეხება. ეს მასალა დაბეჭდილია „მუჰიმე დავთრის“ დამატების მეხუთე ტომში (გვ. 40)

ამ დოკუმენტის მიხედვით ჩანს, რომ სიმონ მეფეს ქუთაისის ციხე გარემოცავს და უცდია მისი აღება, მაგრამ ველარ მოუხერხებია. ოსმალებმა შეძლეს მთელი თავისი ძალების მობილიზაცია და სიმონი იძულებული გახდა ციხისათვის გარემოცვა მოეხსნა და იგი ოსმალთათვის დაეთმო. ამაზეა საუბარი მეორე წერილშიც.

ჩილდირის ბეგლარბეგს ჰუქმი გაეგზავნა და ეუწყა, რომ ქუთაისის ციხე სიმონს არ მისცეს. დასახელებულია ვინმე ბაკაკი, რომელიც თავგამოდებით იბრძვის ქუთაისის ციხის შესანარჩუნებლად და სიმონისაგან დასახსნელად. აქვე მოხსენიებულია სარდალი ფერჰადი, რომელიც ასევე იღვნის სიმონ მეფის წინააღმდეგ.

მომდევნო მესამე დოკუმენტში საუბარია კვლავ ქუთაისის ციხის გარემოცვაზე. საგანგებოდაა მითითებული, რომ ქუთაისი სიმონმა გარემოცვა და სიფრთხილეა საჭირო. ფერჰადი ქუთაისის ციხის ბეგლარბეგია, ქუთაისის გამგებელი ბაკაკი იბრძვის ქუთაისის ციხის გასათავისუფლებლად. ბაკაკი ვარქით ბირეს უნდა დაეპატრონოს. იგივე ვარციხე ხომ არაა ვარქით ბირე. ქუთაისის ციხის დასაუფლებლად თავგამოდებით იბრძვის გურიის გამგებელიც. ჯერჯერობით წარმატებას ვერ აღწევს. ოსმალთა ძალები გაიგზავნა კახეთის მიმართულებითაც. ელოდებიან კახეთშიც სიმონის თავდასხმას. იქაც გაიგზავნა

სამხედრო ძალები. სიმონის დასაკავებლად გაგზავნილმა ძალებმა იცოდნენ, რომელი გზით გაემართებოდა კახეთისაკენ სიმონი. ამ მიმართულებით გაგზავნილმა ოსმალებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს სიმონის ძალებს. ოსმალთა ძალებმა ციხეში პროვიანტის შეტანა ვეღარ მოახერხეს. ცხადი იყო, რომ სიმონ მეფე უკვე ამხედრებულიყო და აშკარად იბრძოდა ოსმალთა წინააღმდეგ. ოსმალები იძულებულები გახდნენ სასწრაფოდ ეუნწყებინათ ხელისუფლებისათვის. არაფერი არ უნდა იყოს დამალული. ოსმალთა ძალები სიმონისა და ბაში აჩუკის მხარეს გაემართნენ. დოკუმენტი დაბეჭდილია დავთრის დამატების მე-15 ტომში (გვ. 12).

მეოთხე დოკუმენტი შედგენილია 1592 წლის აპრილ-მაისში. იგი ეხება 300 ქურთის მიერ ქუთაისის ციხის დაცვას. ქურთთა ლაშქარი მოიხსნა ქუთაისის ციხიდან და მას დაევალა გორის ციხის მეთვალყურეობა. ამასთანავე, ამ შეიარაღებულ დანაყოფს დაევალა სიმონ მეფის წინააღმდეგ გალაშქრება. აშკარაა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ოსმალთა შეიარაღებული ძალები მობილიზებული იყო სიმონ ქართლის მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბოლო დოკუმენტი ეხება 1592 წელს. დოკუმენტი გამოქვეყნებულია „მუჰიმე დავთრის“ დამატების მეექვსე ტომში (გვ. 23). აქ საუბარია აჩიკ-ბაშისა და დადიანის მეფეების წერილზე ოსმალეთის ხელისუფლებისადმი, რომელშიც ისინი მორჩილებასა და ქვეშევრდომობას აღიარებენ. თანაც თანახმანი იყვნენ ხარაჯას გადახდაზე. თითოეულს გაეგზავნა სამეუფეო პირობის წიგნი. ადრე ზაგების ხელისუფლება და სიმონ მეფეც ოსმალეთს ემორჩილებოდა. მაგრამ შემდეგში ვითარება შეიცვალა. ქუთაისის ციხე ოსმალთა ხელში გადავიდა. ოსმალებმა გასცეს ბრძანება ციხის გამაგრებისა და საიდუმლო ადგილებში თავისი ხალხის ჩაყენების თაობაზე. დედაქალაქში გაიგზავნა სამეუფეო პირობის წიგნი, ადგილობრივ მკვიდრთ ნორმალურად ექცეოდნენ. ციხისა და ახლო-მახლო ტერიტორიაზე რაიმე გართულებას ადგილი არ ჰქონია. ძალიან გაძლიერებული იყო მეთვალყურეებისა და მაცნეების საკითხი.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოსაცემად გამზადებულ დოკუმენტებში საუბარია მოვლენებზე სიმონის დატყვევებამდე. სიმონის დატყვევების შესახებ საბუთების გამოქვეყნება მომავლის საქმეა. მომავალში შევეცდებით ოსმალთა ხელისუფალთა საქმიანობა და დამოკიდებულება სიმონ მეფისადმი სრულად წარმოვადგინოთ, აღვნიშნოთ სიმონ მეფის დამსახურებაც.

ჰაზრეთ ეფენდის ნებით!

თბილისის ბეგლარბეგსა<sup>1</sup> და კაზას (მეთაურს<sup>2</sup>) ბუდაკს ებრძანა და ჰუქმი ებოძათ, რომ უწინდელი ბეგლარბეგის ფერჰადის კაცებიდან, იყოს მათზე მშვიდობა, ვინმე მეჰმედი თბილისის ჯარისკაცთა მსახურთაგან აიყვანონ და ჯარისკაცებს არ მიუყვანონ. ცხადია, რომ ისინი გაიქცნენ. აქედან გამომდინარე ებრძანებ, რომ როდესაც აქ მოაღწევენ, ხსენებული მეჰმედი მოიძიონ. აქ მოიყვანონ. ჯარისკაცთა სარგოებიც, დარჩენილი ვალი, შარიათის საფუძველზე, პროვიანტთან ერთად გადმოტანილ იქნას უნაკლოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შარიათის საფუძველზე უნდა იყოს დადასტურებული.

ველი ჰაზრეთ ეფენდის ნებით

ხსენებულ ქეთხუდას<sup>3</sup> ებოძა. დაიწერა 24 რამაზანს წელი 99<sup>4</sup>.

თბილისის ბეგლარბეგს ჰუქმი ებოძა იმაზე, რომ თბილისში მარცხენა ბოლუქის<sup>5</sup> ქათიბი<sup>6</sup> ველიმ წყეულ სიმონთან ერთად კავშირი შეკრა და მას გაუერთგულდა და შეკავშირდნენ. ხსენებულნი ციხიდან გავიდნენ და ბედნიერების კარისკენ გამგზავრების ბრძანება მიიღეს. აქედან გამომდინარე ებრძანებ, რომ როდესაც მოაღწევენ დანიშნულ ადგილს, ხსენებულ სიმონთან კავშირი თუ აქვთ, ამ სამწუხარო შემთხვევის გამო შესაფერის ხალხთან გაიქცნენ და ბედნიერების კარს აუწყონ. თუ გაიქცნენ, გაგზავნილ ხალხს რჩევა-დარიგება (საყვედური) და სიტყვიერი ახსნა-განმარტება მოსთხოვონ, რომ თავიანთ გასაჩერებელ ადგილამდე და ნავსაყუდელამდე არავის არაფერი არ აუწყონ. ამაზე მზად იყონ.

<sup>1</sup> ბეგლარბეგი – ბეგთა ბეგი, ფაშა, ვილაიეთის სამოქალაქო და სამხედრო-ადმინისტრაციული საქმეების განმგებელი.

<sup>2</sup> კაზა (ყაზა) – ოსმალური ადმინისტრაციული დანაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული. კაზას თანამედროვე სახელწოდება ილჩია.

<sup>3</sup> ქეთხუდა – მამასახლისი, მოურავი, მაღალი თანამდებობის პირების დავალებათა შემსრულებელ სხვადასხვა კატეგორიის მოხელეებს ქეთხუდა ეწოდებოდა. იგი ხალხში „ქაჰიას“ სახელითაც იყო ცნობილი. მათ ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდათ. იყო ხაზინის ქეთხუდა, გემსაშენის ქეთხუდა, დავთრის ქეთხუდა და სხვა.

<sup>4</sup> 24 რამაზანი 99 წლისა – 15.7.1591 წელი

<sup>5</sup> ბოლუქი – სამხედრო ნაწილი, რაზმი

<sup>6</sup> ქათიბი – მწერალი, გადამწერი, მდივანი, სახელმწიფო დანესებულებათა კანცელარიის მოხელე.





გურიის მეფეს ჰუქში ებოძა იმაზე, რომ ჩილდირის ბეგლარბეგმა აბდულ-ლაჰმა, იყოს მუდამ ილბლიანი, წერილი გამოგზავნა. ბაკაკის სახელწოდების მეფე იმთავითვე თავისი საქმიანობის შესრულებას შეუდგა. იგი ბედნიერების დედაქალაქს ემორჩილებოდა და მის დაქვემდებარებაში იყო. ამიტომ წყეულ სიმონს\* ქუთაისის ციხე გარემოცვა და აჯანყებულყო. ციხე არ მიეცა. ცნობილი გახდა, რომ ამ მხარის ჩასაბარებლად კმაყოფილი იქნებოდნენ. ამასთანვე ძველთაგანვე ჩემი ბედნიერების დედაქალაქისათვის, მისი თავისუფლებისათვის საჭირო იყო ხსენებულის მუდამ ილბლიანობა და ერთგულად ყოფნა. ხსენებულის ზედამხედველად დანიშვნა, სასიკეთო საქმიანობის გამოყენება. აღნიშნული ციხე აიღეს იქ მყოფმა ბეგლარბეგმა ფერჰადმა, დიდხანს იყოს მისი ილბლიანობა, გასცა განკარგულება ციხის არ ჩაბარების თაობაზე. აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც აქ უძველესი დროიდან ბედნიერების კარზე მოაღწევს ცნობა იმის შესახებ, რომ ჩემი საქმეების მორჩილებისა და ხასიათის აუცილებლობის გამო, ეგ საქმე შეიძლება სასარგებლო არ იყოს, შენდამი დაქვემდებარებული მთელი ლაშქარი საზიზღრები და ბოროტები იყონ. ხსენებული მხარის საერთო შემადგენლობა გაუბედურებულია. ამის მსგავსად აღნიშნული მხარიდან შენთან აღმიაწებმა წერილი აფრინეს. სანამდე დარჩები მანდ, რა ტერიტორიებს დაიკავებთ, აღნიშნულ ციხეზე თავდასხმებს რომ აწარმოებთ, თუ ამაზე გაგვაგებინებთ, შენც შენს მოვალეობას მოიხდი, შენდამი დაქვემდებარებული ლაშქარი მთლიანად აღნიშნულ ტერიტორიაზე შევა. იგი მისი მფლობელი გახდება. შენც ტვირთს გადაზიდავ და ნამდვილ სამსახურს გასწევ. მაღალი ღმერთი გფარვიდეს. რადაგანაც აღნიშნული ციხე აღიმართა ასე ლამაზად იყო აღებული. ხსენებულისათვის მის საბოძებლად, ქვემოთ არსებული ყველა სახეობანი გამოაშკარავებულ იქნეს. ღვთის წყალობით, გარკვეულ ადგილზე არსებული საქმე და სამსახურის საკითხიც ჩემი საფადიშაჰო წყალობაა. ამაზე საეჭვო არაფერია. მაგრამ მის მიხედვით, სამეფო კარი თანახმაა და თადარიგში მყოფთა ვითარებაზე ლაჰარაკიც ზედმეტი.

ჩილდირის ბეგლარბეგს ჰუქში გაეგზავნა, წერილობით ეცნობა. ბაკაკის სახელწოდების მელიქმა ქუთაისის ციხე წყეულ სიმონს არ მიეცა. ამ მხარეში მორჩილების არზა გამოიგზავნა. ჩაბარების თაობაზე გადწყვეტილების მისაღებად, სასწრაფოდ გულითადი ერთგულება იყო საჭირო. ხსენებული ციხის ბეგლარბეგმა ფერჰადმა, იყოს მუდამ ილბლიანი, ჩაბარება ითხოვა. გურიის მეფეს პატიოსანი ჰუქში გაეგზავნა. ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ, რომ როდესაც იგი მოაღწევს, შენც ამასობაში უწინდებურად დაინიშნე. გურიის მეფემ წერილების გაგზავნა სასარგებლოდ მიიჩნია. ამ საკითხზე სასიამოვნო

\* ქართლის მეფე სიმონი I (1556-1569), (1578-1600). გარდაიცვალა სტამბოლში, იედი-ყულუში 1611 წელს

თადარიგი დაიკავეს. ამასთანავე იგი ინფორმირებულ იქნა. აგრეთვე ერთმანეთი სასიამოვნო მორჩილებით გააპატიოსნეს. ხსენებულები ადგილზე მოვიდნენ. აღნიშნული ბაკაკის სახელწოდების მეფემ ყველაფერი გამოიყენა, ყველაფერი გააკეთა თუ თავდასხმებისას მნიშვნელოვანი დახმარება იქნებოდა, აღნიშნული ციხე იარებს მოიშუშებდა. ხსენებული ფერჰადისთვის, იმატოს მისმა ილბლიანობამ, დამატებით ლაშქრობაში მონაწილეობა, დიდი სანაქებო საქმე იქნებოდა. ამრიგად, თადარიგი დაჭერილ იქნა, მდგომარეობა კვლავ უცვლელი დარჩა. დანვრილებით ყველაფერი ცნობილი გახდება.

کورن ملکه حکم که جلد بکلریکس عبدالله دام اقبله مکتوب کوندروپ بقافه نام  
 ملک بودای قدیمون سده سعادتیه اطاعت و انقیاد اوزره اولتمعله  
 سیمون طمبون کوتاتیر قلعہسی حاصره اتمخ اتکید جنک ایدوپ قلعہس ویرمیویپ بو  
 چانیہ تسلیم اتمک مرانی اولدوغن اعلام ایدوپ  
 ایمنی قدیمون استازہ سعادتیه اولان کمال اخلاص و اختصاصک موجبجه مشارالیه دام  
 اقباله ابله یکدن و یکجید اولوب داخی مزبورہ وجہ و میاسب کورلدوکون اوزره حس  
 امتالت ویرمکله قلعہس مزبورہس الوپ حاب بکلریکس اولان فرهاد دام اقبله یه  
 تسلیم ایلمکزر امر ایدوپ بیوردوسکه واردوقده قدیمون استازہ س سعادتت اشیانده  
 اولان محبودیت  
 و اغلاقت مقتضاسنجه یران تاخر رارام اتمیویپ سکا تابع اولان جمله شعاکر کلن  
 مهیا و حاکم اولوب مشارالیه جانینه نرقیب و تاخر اولانکه انولا کبی مشارالیه  
 جانیندن سکا ادمه مکتوب واروب نه زمانده قالولوب ونه صلته جمع اولوب  
 قلعہس مزبورہ اوزرینه وارلماسدس  
 اعلام ایدوسه سنداح بلا تاخر ادم اوزره سکا تابع اولان عسکر کله حد مزبورہ  
 واروب مشارالیه ملاق اولوب  
 داخی حد اخرجی و مرافقت ایدوپ بعنایت الله تعالی ذکر اولنان قلعہ احسن  
 وجهه مزبورون الوپ مشارالیه تسلیم اتمدیم باینده انواع متاعوش جمیلہ ظهوره  
 کتورمن از سایر الله وجوده کلان  
 حد و خدمتک حسرت عنایت پادشاهانمز اولدوغندن یشتاح بوندرا اکا کوره باب  
 ہزیر و تدارکده دقیقہ قول اتمیمن

چلدر بکلىر بکيسنه حکم که مکتوب کوندر و بقاءه نام ملک کوتاتس قلعهس  
 سيمون ملعونه و یرمیوب بوجانبه عرض عبودیت ایدوب تسلیم اتک الی  
 اولدوغ اعلام اتدورمک اجدس یوبابده سنکله یكدل اولوب قلعهس مزبوریه  
 بکلیر کیسی اولان فرهاد دام اقبالییه تسلیم اتدرهست دیو  
 کورن ملکه ییه حکم عریقم کوندر لمقدر بیوردومکه واردونده سداغس یوبابده  
 کرکی کیسی تمین اولوب کورن ملکی مکتوبکلی یرارلامک  
 کوندر و بوجومنده حسنه بیزیر و تدارک ایدوب و مومالییه ایله خیرلغوب داغس  
 بریرتکوره حسنه توایمت و اشراقس ایدوب قلعهس مزبوریه نک  
 اوزرینه واروب مزبور بقاءه نام ملکی استمالت و برمکه فی اولور  
 بالجمله نوجماس مملکت و میر اولورسه قلعهس مزبور یارالنذن الوپ  
 مشارالییه فرهاد دام اقبالییه تسلیم اتدرمک بابنده. غر جمین ایلیهس  
 دیو جمله تداریک اولنوب احوان یقه تلی اولدوغ تفصیل تارقب بلدرلر:



### საბუთი 3.

გორის ბეგლარბეგს ჰუქმი ებოძა. უმაღლეს სამეუფეო კარზე წერილი გაეგზავნა. ქურთ ემირთაგან უნარჩინებულესი ემირი ილჰაჯი 300 კაცით ქუთაისის ციხის დასაცავად დარჩა. ეს ციხე მას ებოძა. თუმცა ამჯერად ქუთაისის ციხის დაცვაზე უარი თქვესო. როდესაც შენ წყეული სიმონის წინააღმდეგ გაილაშქრებ, კვლავ 300 კაცით ხსენებული გორის ციხის დაცვაში დარჩები. ამაზე პატიოსანი ბრძანება გებოძება. ამაზე არზა იქნა გაცემული. შენ აღნიშნული გორის ციხის დაცვაში დაინიშნე. 300 ჯარისკაცი არ იქნა დათვალიერებული. ღმერთმა შეუნდოს დავთარს: ამ ხალხს აქვე დარჩენის შესაძლებლობა არ მიეცა. ასე იცოდეთ.

დაინერა რეჯების თვის მიწურულს. წელი 1001\*.

---

\* რეჯების თვის მიწურული, წელი 1001 - 2.5. - 1593 წელი.

کورن بکلر بکیسینه حکیم کورر کاه سلاه مکتوب کوندر وپ امران اکر اددن قدوس الامران  
الحاج اوز بوز نفر ادمله  
کوتاتیر فلهمدت محافظه منده فالمد اوزره مقدمس فلهمدی ویریلوب لگان بودفده  
کوتاتیر فلهمدده فراغت

اولنمشر دیو سیمون بلمون اوزرینه کتدو کده میر مشارائیه  
بنه اوز بوز نفر ادملرن ایله کورن فلهمدی محافظه منده فالمد ابحون امر غریب  
وهرلمسید عرض ایلدو کده اجلدن عرض ایلدو کده اوزره س اداان مزبور اوزرینه توجهیه  
ایلدو ککنده

میر مشارالیه فلهمد کورن محافظه منده بمدا ایدوب اوج بوز نفران بالذات  
یونیموب دفترن اله س که مرود

ادمله فالمد احتمالی اولمیه عویله بلمد

تحریرا فن اواخر شهر رجب سنه احدى الف



ჩილდირის ბეგლარბეგს ჰუქმი ებოდა იმაზე, რომ აჩიკ ბაშის მეფემ და დადიანების მეფემ წერილი გამოგზავნეს, ამჯერად ზემო აბიკის სამეფოსადმი მორჩილება და დაქვემდებარება გამოაცხადეს. ხარაჯის\* გადახდის პირობით, თითოეულ მათგანს სამეუფეო პირობის წიგნი გაეგზავნა. სიმონი და ზაგემის განმგებელი ალექსანდრე ხანიც\*\* იმთავითვე ამ მხარეს ემორჩილებოდა და ექვემდებარებოდა. ისინი ხარაჯას გადამხდელი იყვნენ. ამჯერად ჩემს სამეუფოსთან ერთად დაპყრობასა და განადგურებაში საჭირო იყო დახმარების განევა. ამასთანავე ქუთაისის ციხე დაიპყრეს და მფარველობა აღმოუჩინეს და შეაკეთეს და შეარემონტეს. ამის აუცილებლობა იყო, ამით გააერთიანეს თავიანთი საქმიანობა. სარემონტო საქმიანობა გასწიეს და ადგილებზე მივიდნენ. ქუთაისის ციხეში დაბანაკდნენ. ციხეში მცველებისა და მეთვალყურეების ჩაყენების თაობაზე ბრძანება გაიცა. აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც ისინი მოაღწევენ ბერათს გამოსცემენ. რაიმე საიდუმლო და მისაჩუმებელი არ გააჩნდათ. სასწრაფოდ ქუთაისის ციხეში მოვიდნენ. რადგანაც აუცილებელი იყო ციხის შეკეთება, იგი შეაკეთეს, კარები მოატანინეს, თავის ადგილებზე ჩამოკიდეს. ციხის საიდუმლო დაცვაში და მის გარშემო ადგილები დაიპყრეს და შიგ წარჩინებულები და დიდებულები ჩააყენეს. ამასთანავე, სამეუფეო პირობის წიგნი დედაქალაქში გააგზავნეს. ხსენებულთა ოლქებიდან და ადამიანთაგან მათ წინააღმდეგ თავდასხმა არ უნარმოებიათ. თითოეულ მათგანს პატივისცემით ექცეოდნენ. მუდამ ამ საზღვრების მოსახლეობასთან წესიერად და თანასწორად იქცეოდნენ. იმ საზღვარზე მომხდარი ამბების დროს რაიმე გართულება არ ყოფილა. ამბის, მაცნეს საკითხზე ცნობები რეალური იყოს!

\* ხარაჯა – გადასახადი, რომელიც ემართა ქართველ მწარმოებელ საზოგადოებას. ეს იყო გადასახადი, რომელსაც ოსმალო ხელისუფლება ტერიტორიის დაპყრობისთანავე აკანონებდა და სისტემატურად ითხოვდა მის გადახდას.

\*\* ზაგემის განმგებელი ალექსანდრე – კახეთის მეფე ალექსანდრე II \1574-1605

چلدر بکلیر بکیسنه حکم که باغراچک ملکن و دادیان ملکن مکتوب کوندروب حالبا  
 عبده علمه ن خروانمه اطاعت و عثقیاد ایدوب خراج گزارم اولمنی قبول ایتمکن  
 هر بیرنده عهد نامه ن هما یونم کوندریلوب همون زکم حاکی الکندر حان دخی  
 مقادما بوجانبه اطاعت و انقیاد ایدوب  
 خراج گزار اولمئلدر ایمنی فخره فاهره خروانم ایله فتح و تعمیر میسر  
 اولان کوتاتیر فلعه نیک ضبط و حراثت و تعمیر و تربیه  
 محتاج اولان بیملرن تعمیر اولمنق صالحی اموردن اولمنی بیر واروب کوتاتیر  
 فلعه نده اوتوروب فلانک حفظ و حراستنده اولمنی  
 امر ایدوب بیوردوس که واردوقده برات و پروپ عد قاحیر و قرعی ایتمیو  
 تمیلا کوتاتیر قلمه نده واروب  
 فلعه نیک تعمیر محتاج اولان بیملریز تعمیر ایدوب و قیوسی کتوردوب بیرنده  
 قویوب هین و نهار قلامه نیک حفظ و حراستنده و اطراف جوارینک خبیث و سیانتندوه  
 جد و سانجن اولانک اما عهد نامه ن هما یونمه مغایر مزبورلرک اولکالردن  
 انملرندن بیرنده حاص و تجاوز ایتمیوب هر بیر یله مدارا اوزره اولوب دایما  
 اول سرحدلرک احوالنه نظام و انتظام ویرمکن سن جمهک ایلیمس و اول  
 سرحدده واقعا و حقل اولدوغک  
 احوال اخبار صحیبه ن اعلامدن حالی اولمیه سن



## საბუთი 5.

ჩილდირის ბეგლარბეგს ჰუქმი ებოძა, რომ ჩემი ბედნიერების კარზე ნერილი გაეგზავნა. ქუთაისის ციხის მხრიდან ჯაშუშები იყვნენ მოსულნი. სიმონს ხსენებული ციხე გარემოეცვა. ბაკაკის კაცი გაეგზავნა. შენ სხვა ოლქი გამოგეყო, ციხე მე არ მომცეს. ქუთაისის ბეგლარბეგ ფერჰადსა, იყოს მუდამ მისი სიცოცხლე ხანგრძლივი, და მათ შორის მოლაპარაკება გაიმართა. შენ ვარქით ბირეს ციხეს დაეპატრონე. თავად კი ბეგლარბეგად დაინიშნე. ამაზე არზა გავეციო, ითქვა. ამაზე ნებართვა იქნა გაცემული. მე გურიის განმგებელმა ამ ვილაიეთის დაპყრობა თუ მოვახერხე, ამაზე შენც იქნები ინფორმირებულიო, ამაზე შენც გეცნობებო. იმ მხარეში კახეთზე თავდასხმა თუ მოხდება. ამ მხრიდან პროვიანტის თადარიგი უნდა იქნას დაჭერილი. იქ გაგზავნილმა ხალხმა სიმონის გზები იცოდნენ. იქით გაგზავნილი ხალხი ამონყვიტეს. მნიშვნელოვანი ნაწილი კი გაითოშა. ამის მიზეზი იყო ის, რომ იმთავითვე პროვიანტის ციხეში შეტანა ვეღარ მოხერხდა. სიმონი რადგანაც ამხედრებული იყო, ეს ცნობილი გახდა. ამასთან დაკავშირებით არზა გამოვიდა. შენც რაც არ უნდა საქმის კურსში იყო ამაზე ამ აჯანყებულის თაობაზე სასწრაფოდ გუწყება. ამასთანავე სიმონისა და სხვა მოჯანყეებისა და ვერაგების შესახებ ამბები თუ არ იქნება გაგზავნილი, ეს შეცდომა იქნება. აქედან გამომდინარე ვბრძანებ, რომ როდესაც ჰუქმი მიაღწევს (დანიშნულ ადგილს), დამალული არაფერი არ უნდა იყოს. ისინი მოჯანყე სიმონისა და ბაში არჯუკის ვილაიეთისაკენ გაემართნენ.

چلگر بکتر بکنه حکم که دههٔ سعادتیه مکتوب کوندروپ کوتاتیر قلمهسی جانیندن  
 جاسوک کلوب سیمون قلمهٔ مزبورهنی  
 معاصره ایدوب بقیقهیه ادم کوندروپ کلا اکر اولکا ویرمن قلمهٔ بکا ویرمیوب  
 کوتاتیر بکتر بکس اولان  
 فرهاد قام اقباله ایله مابین اولمغه سد وارگیت بره قلمهسی الدوقده  
 کتور جانیندن بر بکتر بکی نصب ایدوب عرض  
 ایدرم دیو اجازت ویروب کورل طکنه دخی اکر بو ولایتی فتح ایدرم سنو کلی  
 بیلم اولامم دیو حبرلشوب  
 و اوردهاری فض اوزره اولمغه بو جانیندن زخیره تدارک اولتوب کوندرلشک  
 سیمون بوللری بکلشوب  
 واران ادملرن بامیوب نیجه کمنه لی موبوب اسباب و اتادن المظه قلمهیه  
 نهمره ابعالی ممکن  
 اولمایوب سیمونک صیبا اوزره اولدوغی خیر ویرلمنبر دیو عرض ایلمشمن ده  
 هر نه که اعلام ایلمش انک  
 معصلا معلوم سربع اولمنبر ابعنی سیموندن و سایر اعدانک مکر و حمله سندن  
 عقلت جایز دکلمر بیوردومکه  
 حکم رسول بولدقده تاخیر اتمیوب مغلله سیمونه و باهر اچوی ولایتده

در آرزوی...

۹۹

طهر بکلیت...  
 خاص از بدن بقدر...  
 فریاد و...  
 ایرج و...  
 و در...  
 در...  
 در...  
 در...  
 در...

## Нодар Шенгелия

### ПЯТЬ ДОКУМЕНТОВ ИЗ „МУХИМЕ ДЕФТЕРА“ О ЦАРЕ КАРТЛИ - СИМОНЕ

#### Резюме

„Мухиме Дефтери“ представляют собой значительный источник для истории Грузии. В них представлена каждодневная реальная история XVI-XVIII вв. „Мухиме Дефтер“ состоят из 265 томов и 17 томов в качестве дополнения. Каждый том содержит 1200-1500 документов, отражающих ежедневные жизненные явления. Иногда в течение одного дня в документ вносили несколько десятков информации.

„Мухиме Дефтери“ хранятся в стамбульском архиве Совета Министров, в Турции. К изданию готовятся полностью отобранные нами сведения, защищенные в этих томах. Речь идет о пяти документах, которые содержат значительные сведения о Грузии, в том числе информацию о царе Картли - Симоне.

## Nodar Shengelia

### FIVE DOCUMENTS FROM „MUHIME DEFTER“ ON SIMON, KING OF KARTLI

#### Summary

Muhime Defters form an excellent source of the Georgian history, for they depict a true-to-life, day-to-day history from the mid XVI century to the XVIII century. The Muhime Defters are made up of 265 volumes and 17 volumes of appendices. Each volume contains 1200-1500 documents, each of those reflecting daily events. Several dozen pieces of information may have been entered into the document. The Defters are preserved in the archive of the Council of Ministers of Turkey. We selected the records preserved in the se volumes and are preparing them form publication. We have in mind five documents, containing affluent information about Georgia, including the information about Simon, King of Kartli.